# სახალხო გაზეთი

№ 1148 სამშაბათი, 25 მარტი 1914 წ. № 1148

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაერო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოადანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ელაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი


დღესასწაულის გამო „სახალხო გაზეთის“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 27 მარტს.

## მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „სახალხო გაზეთზე“

(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ: 1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.

მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.

ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ П. Ящ. 190

---

უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიას გასასყიდად

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მეხუთე ტომი

ფასი ერთი მანეთი.

---

კნეინა მარიამ ოთარის ასული და თ-დი ივანე დიმიტრის ძე აფხაზნი გულითადი მადლობას უძღვნიან ნათესავთა, მახლობელთა და ნაცნობთ პირადის, დეპეშით თუ წერილებით თანაგრძნობის გამოცხადებისთვის დაუვიწყარ შვილის

## სალომეს

გარდაცვალების გამო. 211

---

## ქართული თეატრი

26 მარტს, 1914 წ., ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ორი მხიარული ვოდევილი:

I) მათიკო, მესამე მოქ. ავქ. ცაგარლისა. II) ტიმოთეს ლეღვი, ვოდ. 1 მ. გრიშაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ციმაკურიძე; ბ-ნნი: გოცირიძე, რატიშვილი, ქიაურელი, ზანდუკელი, ჯაბაური.

III) საკონცერტო განყოფილება.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: სოლოვიოვა, პალცევა, ბ-ნნი: პროფესორი ზროჯი, სიხარულიძე, ჯოფმანი და მიხასოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

1078 რეჟისორი გ. ჯირიძე, გამგე რატიშვილი.

---

## ქართულ სამეურნეო საზოგადოების

## წევრთა საზოგადო კრება

დანიშნულია 25 მარტისთვის, შუადღის 12 საათზე კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

განსახილველი საგნები:

1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში.
2) ახალ წევრთა მიღება.
3) გამგეობის წევრთა არჩევნები.
4) სარევიზიო კომისიის არჩევნები. 1124

---

## ახალი კლუბი

სამშაბათს, 25 მარტს,

## საოჯახო საღამო

სცენაზე წარმოდგენილი იქნება დრამატ. სცენის მოყვარულთა „ახალ კლუბთან“ დასის.

„ისინი ერთობიან“, კომედია 2 მოქ. მანცენილოვისა,

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნ კნ. დ. ე. ბაგრატიონ-მუხრანსკისა, კნ. ა. ნ. ბეგთაბეგოვისა, კნ. ნ. ვახვახიშვილისა, კნ. ნ. ე. თარხნიშვილისა, ე. მ. იურიევისა. ბ-ნნი: თ-დი ნ. გ. ბეგთაბეგოვი, აზარსკი, ვოლდორი, ვოსკრესენსკი, საბინინი, ტონსკი და კარსავინი.

2) საკონცერტო განყოფილება

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს არტისტი ი. პ. ტომაშევიჩი.

თეატრში შესვლა უფასოა. სტუმრები იხდიან კლუბში შესავლელს: კაცი 1 მ., ქალი 50 კაპ., სტუდ. 25 კ. ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი „ახალი კლუბისა“.

დასაწ. საღ. 8½ ს. ● პანსიონი: სამშ. 8 აპრ., ბენეფ. დირიჟ. ს. პ. პრესმანისა. 1095

---

## ტფილისის სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 25 მარტს, 1914 წ. დანიშნულია

## ლექცია

პროფესორ ვ. დ. პლეტნევისა

## „ნიმანთა საკითხი და ევროპა“

რუსეთ-ევროპის დამოკიდებულებასთან დაკავშირებული.

ადგილების ფასი 3 მ.-დან 30 კ.-დე. ბილეთები ისყიდება სახაზინო თეატრის კასაში. დაწვრილებით აფიშებში. დასაწყ. საღ. რვა-ნახ. ს. 207

---

ტელეფ. ქართული თეატრი № 795.

ხუთშაბ., 27 მარტს, 1914 წ., ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## მამულ-დედული (ანუ მშობლიურ ჭერ ქვეშ).

დრამ. 4 მოქ. გ. ზუდერმანისა, თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ ქ. ქ.: მდივანი, პიერეტა, ქიქოძე, შოთაძე, ჩხეიძე, ჯავახიშვილი, ქოდალაშვილი. ბ-ნნი: გუნია, ზარდალიშვილი, შალიკაშვილი, ხონელი.

დასაწყ. საღ. რვა-ნახევარ საათ. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

1078 რეჟისორი მ. ქორელი. ადმ. ქარ. დრამ. საზ.

---

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

## სამკურნალო

სავოლი ოთახებით

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, კოროლენკოს ქ. № 20, ტელეფ. 791. 1094

---

## სამანუფაქტურო მაღაზია

## მ. გ. აბაშიძისა

გადავიდა იმავე თამამშევის ქარვასლაში, ერევნის მოედანზე, სასახლის ქუჩის დასაწყისში, სამხედრო შტაბის პირდაპირ, სადაც მიღებულია ყოველ-ნაირი ახალი საქონელი. ფასები ძლიერ ხელმისაწვდომად და შეუდარებლად.

● შესვლისთვის ნაჭრების დიდი იაფობა. ● 1023

---

## გორის პირველი კერძო

## სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსა და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მეტეხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუხნერი მ. მ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ვინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან. ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606“, „914“. 1088

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქიზიყის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილებაში.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი მ. მ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს.<br>ფიდოროვი ი. გ. ყოველ დღე 11—12.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარქოზიჩი მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერაბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ი. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფიდოროვი მ. ს. ყოველ დღე 11—2.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ-დღე 1-ნახ—2 ს. |
| ნერვიულ სნეულებ. და სულ. ავ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1<br>ფონდოევი მ. ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და ძილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1070

---

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ახლად მიღებული წიგნები:

ან-ფარი. Грузинскіе хизаны и идіологи хизанства. т 1913, 20 კ.

ს. ლ. ავალიანი. Крѣпостное право и исторія Крестьянской реформы въ Тифл. и Кут. губ., ოდესა, 1912, 2—50 „

Крестьянская реформа въ Мингр., Сван. и Сухумск. отд., ოდეს. 1913, 1— —

Очерки по крестьянскому вопросу въ Закавказьѣ, 30 „

Опытъ Исторической хрестоматіи, ოდესა, 1913, 1—

МАРРъ. Опредѣленіе языка второй категоріи Ахеменидскихъ клинообразныхъ надписей, პეტ. 1914, —75 „

ვედრების. Нетронутый уголокъ, —60 „

გლახაშვილი. წყურვილი, დრ. 4 მ. —30 „

ი. რატიშვილი. გონიერი და იაფი მიწათ-მოქმედება-მეურნეობა, —10 „

—დორის მოვლა და მოშენება, —20 „

—როგორ უნდა ვასწავლიდეთ, —10 „

—როგორ არის მოწყობილი სწავლის საქმე ბოლგარიაში —10 „

—საფუძველი ზნეობრივი აღზრდისა, —10 „

ნ ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება, —20 „

შენრიხ შეინეს ლექსები. ტფ. 1913, —60 „

ს. ქვარიანი. შოთა რუსთაველი და მისი პოემა —30 „

ძელენჯერიძე. გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, ქუთ. 1913, 1— „

მწერალთა ოთხი, სათამაშო, შედგ. თამარ თაქთაქიშვილისაგან, 1914, —60 „

ი. ჭავჭავაძის თხზულება, ყდით, 10 მან.

ადრესი: Тифлисъ Книж. магазинъ О-ва грам. гр. нас. 1072

---

## ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინთვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სახელდრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.

ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“. 1023

---

## სანატორიუმი

## „რუსული დაჩოსი“,

აბასთუმანში.

გულმკერდისა, სასულ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მერძეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მოვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ✦ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიჰმართეთ სანატორიუმის დირექტორს ექიმს გ. მეგრაბიანცს, 1 მაისამდე ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ., № 23. 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვ. ზედაპირიდან 1273 მეტ. ტფ. გუბ. ტელეფონის № 7—92. 1087

---

## სატეხნიკო და საელექტრო-ტეხნიკო კანტორა და საწყობი

## „ენერგია“

„სევერნიე ნომერის“ ქვეშ, ნიკოლოზ. მისახ. ტელეფ. № 8—89.

საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნების, უკანასკნელ მოდელის ელექტრონის არმატურა და სახურავლი მანქანები და აპარატები

კვლავ მივიღეთ დიდის არჩევით,

მეტის-მეტად იაფ-ფასებში. 1132

---

საერო ტელეფონი № 720. საერო

## კახური ღვინოები

## საერო-ს ამხანაგობისა

იყიდება

კავკასიის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში და ყველა საუკეთესო საბაკალეინო და გასტრონომიულ მაღაზიებში.

კანტორა და მთავარი საწყობი ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში.

საერო ტელეფონი № 720. საერო 1108

---

## მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები

(თეორეტიული და პრაქტიკული),

კავკასიის საბრეშუმო სადგურთან, მომავალ აპრილის 15-დან გაიხსნება და ივნისის 1-დე გასტანს. კურსები უფასოა. მსურველთ კურსებზე ჩაწერა შეუძლიანთ საბრეშუმო სადგურის კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 11—12 საათამდე. ცნობების მისაღებად შეიძლება მიჰმართონ საბრეშუმო სადგურს პირადად და წერილობითაც. 1122

---

ნაძალადევში

ხუდადოვის ქ., 4.

ექიმი ი. რ. სურგულაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. 141

---

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ. ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლის. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კირიჩნი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

# სამანუფაქტურო მაღაზია
## ძმ. ჯავახოვები და ამხ.

შუა-ბაზარში მანთაშევის მამულში №№ 71, 72, 73.

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახლად მიღებული გვაქვს ყოველ გვარი მანუფაქტურა: მაუდეულობა, შალეულობა, აბრეშუმეულობა, ტილოები და ბამბის ქსოვილები მოსკოვსა და საზღვარ-გარეთის ქარხნებისა. ვაჭრობა პარტიობით და წვრილ-წვრილად ხელმისაწდომ ფასებში.

**შაბათობით ისყიდება ნაჭრებიც 50% დაკლებით.** 1070



## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შეგვატყობინონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმთა საზოგადოების

## სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტელეფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

**ამაჯანოვი მიხეილ** — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

**ეგიაზაროვი ი. ნ.** — შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროთერაპია, 11—12 ს.-დე.

**ელჩიბეგი მ. რ.** — ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

**ელჩიბეგი ლ. რ.** — ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.

**კივოვნტი მ. პ.** — სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

**მაზაკიანი მ. ნ.** — შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ. ½-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან, ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისგან შესდგება.

შეზხაპუნება „914", „606". 1040

## სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**აბულაძიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს

**ბულანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოჟოვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევა**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვა**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**გნუჩკოვა**—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.

**შამაშა**, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**ახმიხოვა**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ჩუდნოვსკი**—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-თერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვა.** ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. ოოხუნაიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინბეცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოლწევა**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ და კვ., 4—5 ს.

**ზაგლოუვა**—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1082

## ექიმი პავლე არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ბ. ზ ო რ ზ ი

## ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი

(დოქტორანტი).

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. საბჭოთ ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ- 1050

## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

## ექიმი

ქალთხა

ნინო რცხილაძე.

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

## ექიმი ხ. ხ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 12, ახლად გამართულ ელექტროთ სამკურნალო კაბინეტი. 1011

## ექიმი ბ. ზ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.


## ტფილისი, 25 მარტი

**გავლილი და გასავლელი გზა.**

განსვენებული არჩ. ჯორჯაძის სახელის მოგონებას და პატივისცემას ის ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რომ თუ ერთის მხრით გვიცხოველებს და გვიხათებს განვლილ გზას, მეორეს მხრით გვიჩვენებს იმას, თუ რაა გასაკეთებელი. ყოველი ძვირფასი ადამიანის ხსოვნას ამით აქვს ფასი უპირველესად: იგია შეფასება წარსულისა და გათვალისწინება მომავალისა. რა გავაკეთეთ, რა მოვიპოვეთ, რა გვაქვს— მაშასადამე რა გვაკლია, რა უნდა მოვიპოვოთ, რას უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება დღევანდელს დღეს? ამას ყველაფერს ნათელი შუქი უნდა მოჰფინოს სახელოვანის მასწავლებლის მოგონებამ, მეტი სიმტკიცე უნდა მისცეს ჩვენს მისწრაფებას და მეტი ხალისი და გაბედულობა ჩვენს მუშაობას.

მეტად მძიმე დროს გამოვედით სამოღვაწეო ასპარეზზე, ბრძოლა ყოველის მხრით გვიხდებოდა, საქმის გამძღოლნი ცოტანი ვიყავით და ყოველი საკითხი მაშინ ჩვენთვის საკმაოდ გარკვეული არ იყო. მაშინ ჩვენი ყურადღება პრინციპიალურ საკითხებზე იყო მოქცეული და ბრძოლაც მოწინააღმდეგეებთან ამ ნიადაგზე გვქონდა. და თამამად შეგვიძლია დღეს ვსთქვათ, რომ ამ ბრძოლიდან გამარჯვებულნი გამოვედით. ყოველი პირუთვნელი და მიუდგომელი მოპირდაპირე იძულებულია აღიაროს, რომ ჩვენ მიერ თავიდანვე დაკავშირებულ პოზიციებზე შეურყევლად ვსდგევართ და ჩვენი მოძღვრების დედამცნებანი მომხრეებს ჰპოულობს მოწინააღმდეგე ბანაკშიაც.

მაგრამ მიმართულების ძლიერებას მარტო მისი დედა-აზრების გამარჯვება არ მოასწავებს. ყოველ პოლიტიკურ-სოციალური მიმართულება ცოცხალი მოვლენაა, ცხოვრებაშია, ცხოვრებითაა გამჟღავნებული და თუ ერთის მხრით არ უნდა გაითქვლიფოს ცხოვრებაში, არ გახდეს ყოველ-დღიურობის მჩანჩალა, მეორეს მხრით იგი არც უნდა განშორდეს ცხოვრებას იმდენად, რომ განყენებული, მშრალი მიდრეკილება მიიღოს. ამ ორს უკიდურესობას ერთნაირად უნდა აცდეს ყოველივე სერიოზული მიმართულება, რომელსაც სურს უწინამძღვროს ცხოვრებას და ხელი შეუწყოს მის სასურველს განვითარებას. აქაა მიმართულების საქმიანობა და პრაქტიკულობა, რომელიც ფესვებს უმაგრებს და აღრმავებს მის თეორეტიულს, პრინციპიალურს აზრებს.

თუ ამ თვალთაზრისით გადავხედავთ ჩვენს წარსულს, ცხადად დავინახავთ, რომ ჩვენის პრინციპიალურის შეხედულობის გამარჯვებას არ შეესაბამება ჩვენი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ჩვენს თეორეტიულს ბრძოლის სიმწვავეს თან არ სდევდა ამგვარივე სიმწვავე პრაქტიკულობისა. შეიძლება, ეს იდეალი გასაგებია; შეიძლება ეს საჭიროც იყო, როცა პირველად დავიწყეთ მუშაობა და უნდა გაგვემაგრებინა უმთავრესი პოზიციები და მტერი დაგვემარცხებინა დედა საკითხებში. მაგრამ დღეს სხვა პირობებში ვართ და ამის მიხედვით უნდა შეიცვალოს ჩვენი სამუშაო ტაქტიკაც. თეორეტიულად ჩვენ მაგრები ვართ და ვინც როგორის იერიშით უნდა მოვიდეს ჩვენზე, ადვილად მოვიგერიებთ; პირ-იქით, ამ ნიადაგზე ჩვენ სხვებზე შეგვიძლია ნაყოფიერად მივიდეთ იერიშით. ხოლო დღეს ჩვენს უმთავრეს საჭიროებას ის შეადგენს, რომ ფართოდ, ვრცლად გავშალოთ ჩვენი პრაქტიკული მუშაობა და საზოგადოებრივს, პოლიტიკურ თუ ეკონომიურ ცხოვრებაში არ დავტოვოთ არც ერთი მოვლენა, რომელიც არ დავუმორჩილოთ ჩვენს სოფლმხედველობას და მისწრაფებას. და აქ ჩვენთვის არ უნდა არსებობდეს დიდი და პატარა საქმე; ყოველი სულ მცირე საქმე ჩვენთვის დიდია, თუ ხელს უწყობს ჩვენს მიზანს და აახლოვებს ჩვენი იდეალის განხორციელებას ეროვნულ თუ სოციალურ სფეროში.

პირველი ეტაპი—თეორეტიული ბრძოლისა ჩვენ განვლეთ გამარჯვებით. მხნედ და ენერგიულად განვაგრძოთ მუშაობა, რომ ასეთივე გამარჯვებით დავასრულოთ მეორე ეტაპიც, რომელზედაც ჩვენ უკვე ვსდგევართ.

# ქართული პრესა

ქუთათური „ჩვენი ერი" ღირსეულად შეხვდა არჩ. ჯორჯაძის გარდაცვალების წლის თავს და რამდენიმე ილი უძღვნა მის ხსოვნას. გაზეთის მეთაურში, სხვათა შორის, ვკითხულობთ.

საქართველო გამორკვევის გზას დაადგა. ბედის უკუღმა ტრიალს ბევრჯელ ჩაუგდია ჩვენი სამშობლო განსაცდელში, ცხოვრების უკუღმართ პირობებს ბევრჯელ განუზრახავს დაპატრონებოდა სასაქართველოს კეთილდღეობას, მაგრამ მას მაინც თავიდან აუცდენია განსაცდელი, მას მაინც თავი დაუღწევია ცხოვრების უკუღმართი ჟინის გავლენისგან და განუგრძვია გზა ცხოვრების აყვავებისკენ მიმართული. მაგრამ ყოველ ასეთ მომენტს თავისი გმირი ჰყოლია, რომლის ხმასა და ყიჟინას ერთსულოვანად გაჰყოლია ქართველი ერი.

ასეთი გმირია დღევანდელ პირობებში არჩილი.

სამშობლოს სახსნელად მოუწოდებს ქართველთ მისი სიტყვა წრფელი, სიტყვა მართალი და სიტყვა გამამხნევებელი. ჩვენც მივყვეთ ამ სიტყვას, გავმხნევდეთ მით და ავვიკუროთ სამშობლოსადმე არჩილისებური სიყვარულით და არჩილისებური მხნეობით შევუდგეთ ბედკრული სამშობლოს ხსნას.

**ძველი მეთვალყურე** სწერს:

არჩილ ჯორჯაძით ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში ახალი ხანა იწყება. ხანა იგი არის ხანა ახალი პოლიტიკური იდეალებისა და ამ იდეალების მწყობრ სისტემად გამოტანისა. და მხოლოდ ამ აზრით ვამბობთ, რომ მისებური კვალი ჩვენს ცხოვრებაში მანამდი არავის დაუტოვებია.

„ინტერნაციონალიზმისაკენ ნაციონალიზმის გზით", ამბობდა იგი, რითაც რადიკალურად განსხვავდებოდა მისი და მის თანამოაზრეთა პოზიცია ერთის მხრით სოციალდემოკრატებისაგან და მეორეს მხრით ძველ თაობათა ნაციონალისტებისაგან: პირველთ მარტო ინტერნაციონალიზმი გამოფინეს თავის სამოქმედო დევიზათ, უკანასკნელებმა კი-მარტო ნაციონალიზმი.

**თ. ღლონტი.** ასე ახასიათებს არჩილის მოღვაწეოსას:

არჩილ ჯორჯაძე მოითხოვდა საქართველოს შინაგანი ძალების გაღონიერებას, ქართული ეკონომიკის აღდგენას, რომ ამ ეკონომიურ ძლიერებას წარმოეშვა ძლიერი საზოგადოებრივი ჯგუფები, ამ ჯგუფების დიადი ბრძოლა, რომ ამ ბრძოლის ნაყოფად მიგვეღო ის საქართველო, რომლის დროშაზე დაწერილი იქნებოდა: მშრომელთა საქართველო, ქვეყანა, სადაც შრომაა გაბატონებული, ხალხი, რომელმაც არ უწყის შრომის ექსპლოატაცია, ერი, რომელიც მთელია, ერთსულოვანი და ბედნიერი. და ამ დიადი მიზნებისათვის ასეთი შესანიშნავი ნაყოფისათვის ჩვენ ქედს ვიხრით იმ პოლიტიკის წინაშე, რომელიც იწვევს ჩვენი ძალების განვითარებას, გაღონიერებას და რომელიც პირველად წამოაყენა, შესანიშნავად დაასაბუთა ჩვენმა მოძღვარმა არჩილ ჯორჯაძემ.

* * *

პეტერბურგის ქარხნებისა და სამრეწველოების დაკეტვის გამო გაზეთი „აზრი" სწერს:

„მას შემდეგ, რაც მუშათა მოძრაობა მოევლინა რუსეთს, ყოველი ზომა იხმარეს: ადმინისტრატიული გადასახლება, გასამართლება, მუშათა ორგანიზაციების დაშლა, მაგრამ ამაოდ.

მუშათა მოძრაობა ის ვეშაპი აღმოჩნდა, რომელიც ერთი წაჭრილი თავის მაგიერ ათას ამოიყრის და დასუსტების ნაცვლად, კიდევ მეტ ძალას იკრებს და ღონიერდება. წინედ ეგონათ, „კრამოლის" სათავე ინტელიგენციაა, მაგრამ ის, უმნიშვნელო ნაწილს გარდა, მოძრაობას გაექცა და თბილ ადგილებზე მოიკალათა, ხოლო მუშათა მოძრაობა გაფართოვდა და გაღრმავდა და აი ამ ჟამად ყველას აფიქრებს ხვალინდელი დღე.

მაშ სად უნდა ეძიონ ხსნა?

მოძრაობის სათავეა ფაბრიკა ქარხანა. თითო-ოროლა მოწინავე მუშის ამოკრეფით მოძრაობის დატუქსვა შეუძლებელი გახდა. და აი ორიგინალური ზომა გამოიგონეს: ქარხანა სოციალიზმის ბუდეა, მაშ ძირს ქარხანა! და აი კიდევაც დახურეს...

* * *

ქუთაურელ მუშების წერილს მეთაურს უძღვნის „ფიქრი" და ამბობს:

„დღეს ბრმაც კი ჰხედავს, რომ ინტელიგენციის დიდი უმეტესობა, რომელიც გუშინ მუშათა პარტიის წევრებად ითვლებოდნენ და მუშათა ინტერესების დამცველად გამოდიოდნენ, დღეს მუშებს ჭირსავით გაურბიან, ამ მხრით ჩვენი პარტია დღეს კრიზისს განიცდის... და იმავე დროს მუშათა შორის გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელნიც სერიოზულად ფიქრობენ და ლაპარაკობენ ინტელიგენციის საფრთხეზე, რომელნიც დაჟინებით გაიძახიან, რომ მუშათა გაზეთებს ინტელიგენცია დაეპატრონა და მუშებს პრესიდან ერეკებიანო.

ქიათურელი რვა ამხანაგი, რომელთაც ჩვენს ქუთათურ გაზეთ „აზრში" ამ დღეებში საპროტესტო წერილი დასტამბეს, მარტონი არ არიან; იმათ ტფილისშიაც ბლომად ჰყავანან თანამოაზრენი და დარწმუნებული ვართ, სხვაგანაც ბევრი ეყოლებათ"...

შემდეგ გაზეთი განაგრძობს: შრომის განაწილება აუცილებელი მოვლენაა დღევანდელს ცხოვრებაში და მწერლობისათვის სრულიად საკმარისი არაა მწერლის სოციალური მდგომარეობა. გაზეთი ჰგმობს ზოგიერთი მუშების საყვედურებს რედაქციების წინააღმდეგ და სწერს:

„ასეთი მდგომარეობა აუტანელია გაზეთის ხელმძღვანელთათვის და მავნებელია საზოგადო საქმისთვის. ამას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

პარტიის მოსისხლე მტერია ის, ვინც პარტიის წევრებს ჰყოფს ინტელიგენტად და მუშებად და ერთს მეორეზე აქეზებს.

პარტიის წევრები „მათი ხელობისა თუ განათლების მიხედვით კი არ უნდა ფასდებოდნენ, არამედ მათი პირადის ღირსებით და პარტიული ღირებულებით.

ძლიერი მხოლოდ ის ოჯახია, რომელიც თავის წევრთა შორის უფრო კარგად ანაწილებს შრომას"...

* * *

ჩვენს რეალური მოსახლეობის პრინციპს არავითარი კავშირი არა აქვს ადმინისტრაციის მიერ შედგენილი პროექტთან გუბერნიების საზღვრების გამიჯვნის შესახებ; ჩვენ ერთი სიტყვითაც არ დაგვიცავს ეს პროექტი. ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ „კლდე" მაინც გაიძახის: „ჩვენ **უტყუარი** საბუთები გვაქვს, რომ ფედერალისტების ერთი ნაწილი არამც თუ მხარს უჭერდა ამ ბიუროკრატიულს პროექტს, არამედ უფრო შორსაც მიდიოდა".

კარგს იზამს ჟურნალი, თუ გამოაქვეყნებს ამ **უტყუარს** საბუთებს!

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **იუსტიციის სამინისტრომ** გადასწყვიტა მოკლე ხანში მოიწვიოს კრება, რომელიც კავკასიის ადგილობრივ მცხოვრებთათვის საქართველოს მოწესრიგებაზე ითათბირებს. გადმოსახლების სამმართველოს განკარგულებით ამიერ-კავკასიაში გადმოსახლების უფლება აქვთ მხოლოდ სამხრეთ-რუსეთის მცხოვრებლებს, რომელნიც ნივთიერად უზრუნველნი არიან და სამხრეთ ქვეყნების მცენარეთა კულტურას იცნობენ. ყუბანისი და თერგის ოლქის მცხოვრებთ აეკრძალოთ ამიერ-კავკასიაში გადმოსახლება.

✦ **საყინულეთა საქმის მოღვაწეთა წარსულ კრების** ხარჯად გზათა სამინისტრომ შარშან 2,000 მან. გადასდო. ეს ფული საყინულეთა საქმის მოღვაწეთა კრების კომიტეტს დღესაც არ მიუღია, რადგანაც არ იცის ფული ამ ჟამად სად არის. სამინისტროს ფული თავის დროზე გამოუგზავნია რკინის გზის სამართველოსთვის დანიშნულებისამებრ გადასაცემად. მაგრამ ახალა ვერ გამოურკვევიათ, ვინ და როდის მიიღო ეს ფული. ამის გამო [illegible] სამინისტრომ [illegible] კითხა.

✦ **ავტომობილთა მიმოსვლა.** ერთ-ერთის დიდ ფირმის წარმომადგენელმა ქალაქის გამგეობას სურვილი განუცხადა იმისა, რომ ნაძალადევში, პოლიტექნიკუმისა და ახალ სასაკლაოს მიდამოებში, ავტომობილთა წესიერი მიმოსვლა მოაწყოს.

✦ გალიციის ერთი დიდი ფირმა სვანეთსა და გურიაში ტყეებსა ყიდულობს. ფირმას აზრად აქვს, ვენურის ავეჯეულობისთვის მასალა დაამზადოს.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა** მესამე რაიონის რწმუნებულთა არჩევნები 23 მარტს მოხდა. არჩეულ იქმნა 31 რწმუნებული.

✦ **უმაღლესი ჯილდო.** 1913 წელში გამართულ ბალტიის გამოფენაზე **ძმ. სესიაშვილისა და ამხ.** სავაჭრო სახლმა უმაღლესი ჯილდო მიიღო **ოქროს მედალი** ჭაქის არყისათვის.

✦ **ქალაქის სამშობიარო თავშესაფარის** კურთხევა მოხდა კვირას, 23 მარტს. კურთხევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია დღეისთვის, შუადღის 12 საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

✦ ქართველ ქალთა საზოგადოების საჯარო კრება 22 მარტს მოხდა. ექიმმა. ვ. დ. ღამბაშიძემ წაიკითხა მესამე ლექცია ბავშვთა აღზრდის შესახებ. ხალხი ბევრი დაესწრო.

**შეცდომის გასწორება**

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში ი. ნიკოლაძის „მოგონებაში" შეცდომით დაბეჭდილია: პარიზში ყოფნის დროს არჩილმა ქართულად წერა-კითხვა არ იცოდა. უნდა იყოს „**არჩილს ეძნელებოდა ლიტერატურული წერა ქართულ ენაზე**" და სხვა.

# არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების გამო

**არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების წლის თავზე**, კვირას, 23 მარტს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იყო წლის წირვა და პანაშვიდი. სასაფლაო ქართველ მუშების თაოსნობით საუცხოვოდ იყო მორთული ცოცხალ ყვავილებით, საბალოსკნო სკოლის მოწაფეების მიერ. მუშებმა სასაფლაო შეამკეს ძვირფასი მარმარილოს გვირგვინით, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის კვირის დამატებაში. გვირგვინზე წარწერილია: „არჩილ ჯორჯაძე. ჩვენს მასწავლებელს, ქართველი მუშებისაგან". გვირგვინი საუცხოვოდ არის გაკეთებული ბ-ნი აგლაძის სახელოსნოში. წირვის დროს გალობდა ორი გუნდი: ადგილობრივი და ქვაშვეთის ეკლესიასთან არსებული, ორივე ფილარმონიული საზოგადოებისა. პანაშვიდზე, საფლავთან ორივე გუნდი შეერთდა. წირვა და პანაშვიდი გადაიხადა დიდუბის ტაძრის წინამძღვარმა მღ. მირიანაშვილმა. პანაშვიდს აუარებელი ხალხი დაესწრო. ძლიერ ბევრი იყო მუშები. ჩამოვიდნენ წარმომადგენელნი, გორიდან, ქუთაისიდან, ბათომიდან და სხვ. პანაშვიდის გათავების შემდეგ ხალხი დიდხანს არ დაშლილა. წირვის გათავების შემდეგ ეკლესიაში სიტყვა წარმოსთქვა დეკ. მირიანაშვილმა.

* * *

(ვუძღვნი არჩილის ხსოვნას).

ცა მრისხანებს, ქარიშხალი
დაძრწის, ჰზარავს არე-მარეს.
უკუნეთი აჰფარია
ვარსკვლავთ გუნდს და შუქმფენ
მთვარეს.
ზღვის კიდურის ობოლ დარაჯს
ჩაჰქრობია კელაპტარი;
ჰქრთის კანდელი, ტოკავს ნავი...
არ გვესმის ისმის გლოვის ზარი...
სად ხარ, სადა მეზღვაურო,
საჭეს ხელი რად გაუშვი?..
გააშუქე, კელაპტარო,
ზღვა მრისხანე, ზღვა პირმქუში!..

**განდეგილი.**

# სამშობლოს დეპეშები

## ხარკოვი

„დღეს გადავიხადეთ პანაშვიდი დაუვიწყარ არჩილის სულის მოსახსენებლად. მუხლს ვიდრეკთ ჩვენი მასწავლებლის წინაშე. კვლავ ვფიცავთ ხსოვნას ჩვენის წამებულის მოძღვრისას, მის აზრებს მტკიცედ და წმინდად ვემსახუროთ.

**თანამოაზრენი.**

## ბათომი

დიდძალი ხალხის თანადასწრებით პანაშვიდი გადავიხადეთ განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად.

**დეკანოზიშვილი.**

## თელავი

23 მარტს, არჩილ ჯორჯაძის სამშობლო სოფელ საბუეში, საბუის საზოგადოებამ დიდძალი ხალხის თანადასწრებით პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

# არჩილ ჯორჯაძის სამარესთან

ჯერ დილის ცხრა საათი არ იქნებოდა, გავეშურე დიდუბის ტაძრისკენ. მეგონა პირველი მივიდოდი და თავისუფლად დავათვალიერებდი ძვირფას არჩილის საფლავს და მუშების მიერ მიძღვნილ მარმარილოს გვირგვინს. მაგრამ მოვტყუვდი. არჩილის სამარესთან უკვე მრავლად მოეყარათ თავი მუშებს. დილითვე გაემართათ გვირგვინი სამარის თავთან და მთელი საფლავი მორთოთ გაზაფხულის ვარდ-ყვავილებით. ხალხი თანდათან ემატებოდა. მუშათა ჯგუფი თანდათან მრავლდებოდა ახლად მოსულ ამხანაგებით.

საოცარ გრძნობას განვიცდიდი არჩილ ჯორჯაძის სამარესთან ვიდექ, იმ ადამიანის სამარესთან, რომელსაც ჯერ კიდევ დიდხანს უნდა ეცოცხლა ქართველ მშრომელ ერის სასიხარულოდ; სამარეში იდო ის ადამიანი, ვინც ბევრი სთქვა, მაგრამ უფრო ბევრი უთქმელი თან წაიღო; სიცოცხლით და მზეს მოშორებული იყო ადამიანი, ვისთვისაც უფრო საშველი იყო ეს მზიანობა და მოქმედება. ეს ფიქრი გულს მიკუმშავდა და მწარე ტკივილს მაგრძნობინებდა. მაგრამ იქვე, სამარესთან ვხედავდი ახალ ძალს, ახლად ამოტანილ ნორჩ, ჯანსაღ ყლორტს, რაიც გულის სიმხნევს ჰფენდა და მტკიცე იმედს აღუძრავდა ადამიანს. ერთ და იმავე დროს გლოვა და სიხარული, ტკივილი და სიამე, მწუხარება და ნეტარება.

მარმარილოს გვირგვინმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა; თეთრ მარმარილოს ფიცარზე ამოჭრილ

იყო დაფნისა და მუხის ფოთლით დაწნული გვირგვინი. ერთი მუშა, ახალგაზრდა, განხორციელება ხალისისა განმარტავდა გვირგვინის მნიშვნელობას: „ეს დაფნის ფოთოლი—ნიშანია ნიჭიერებისა, გონებრივ შემოქმედებისა და ღრმა აზროვნებისა; მუხის ფოთოლი კი სიმტკიცისა, მხნეობისა და მარადისობისა". რა სწორი, რა ღირსეული დაფასებაა არჩილის მოღვაწეობისა: აზროვნება და იმედიანობა! მერე რა სწორედ, უტყუარად აღბეჭდილა ძის მიმდევარ მუშებზე არჩილის ორი დამახასიათებელი თვისება; ყველას სახეზე ეს ორი რამ იყო აღბეჭდილი: იმედი და ფიქრი.

გვირგვინს ზედ წარწერა აქვს: „ჩვენს მასწავლებელს ქართველ მუშებისაგან". ეს ოთხი სიტყვა, სადა, დინჯი და უბრალო ბევრს რამეს გვეუბნება, მრავალ ნეტარ გრძნობას აღუძრავს ქართველ მშრომელთა ინტერესების ნამდვილ მოსარჩლეს.

გაივლის დრო და ხანი: მრავალი ბოროტება დაინთქევა, მრავალი მოუშხამული ისარი გაჰგმირავს ჩვენს გულს, დემაგოგიის ქსელი კვლავ გაიბმება და ადამიანთა კეთილ ზრახვათ, პატიოსან მისწრაფებათ შეურაცჰყოფენ, ცილის წამების კორიანტელში გახვევენ, ხოლო ეს მარმარილოს გვირგვინი კი თვისი სადა, უბრალო წარწერით განმარტოებით იდგება უბადლო არჩილის საფლავზე, როგორც უტყუარი მოწმე ჩვენი ცხოვრების მრავალ მნიშვნელოვან ხანისა:—დემოკრატიის გამოფხიზლებისა. ეს პატარა მარმარილოს ფიცარი გარდიქნება მიჯნად: აქეთ არის არცნობა თავის თავისა, თვის ინტერესთა გაუთვალისწინება და ეროვნული სასოწარკვეთილება; იქით კი—მტკიცე შეგნება, ნათელი გზა და უძლეველი იმედიანობა.

სხვა და სხვა დარგის მრავალი მუშა გარს შემორტყმოდა არჩილის ძეგლს და ადგილიდან არ იძროდა: თითქოს ამით უნოდათ არჩილისა და მისთვის სათაყვანებელ საქმის წინაშე ბოდიში მოეხადა და თვისი დასწრებით გამოესყიდა ძველი ცოდვა. თითქოს სცდილობდა მეტი მზრუნველობა, მეტი პირისუფლება და გლოვა მათზე მეტად სხვას არ გამოეჩინა: არჩილი ხომ უპირველეს ყოვლისა მშრომელთა მუანაზღაურებელი დანაკლისია, და მაშ ვინ უნდა დაამშვენოს უუმეტესად უფრო ცრემლი სინანულისა და სიყვარულისა არჩილის საფლავს თუ არა მუშამ?

თითქოს მუშებს ამით ჰსურდათ, ვინმე კადნიერი და უღირსი არ მიჰკარებოდა არჩილის საფლავს და ამით არ შეურაცხეყო წმინდა საფლავი უმწიკვლო ადამიანისა.

ეს სურათი თავდებია იმისა, რომ ეს მუშა ხალხი, ერთის ფიქრით და გრძნობით გასხვავებული, ერთის მიზნით აღფრთოვანებული ვიწრო რკალს შემოავლებს არჩილის აზრების გარშემო და მათ არ გაჰხდის სკვიგნულად უგვანოთა და გარეწართა.

ერთი მუშა მეორეს ეუბნებოდა: „შარშან არჩილის დასაფლავებაზე მხოლოდ სამიოდე კაცი ვიყავით; და ეხლა კი აი ნახე რამდენია" და ამაყად გადაავლო თვალი თვის თანამოაზრე ამხანაგებს. მართლაც, ეს სამი კაცი ობლად, განმარტოებით განიცდიდნენ თვის ტკივილს; ვინ იცის, შეიძლება მეორე კუთხეში კიდევ სამი იდგა და თავის თავს ისევე ობლად ჰგრძნობდა. ამათ არ იცოდნენ, რომ იქვე, მათ გვერდით, მათივე მდგომარეობაში მყოფი ხალხი, ერთგვარ გრძნობას განიცდიდა და ერთის აზრით იყვნენ გართულნი. ვერ სცნობდნენ ესენი ერთმანეთს და შეიძლება უნდობლადაც უყურებდნენ; და აი, დღეს კი, ერთი წლის შემდეგ, ის ობლად მდგარი მუშა სიამაყით ამბობს: „დღეს კი აი რამდენი ვართო"; დღეს კი ყველა ერთმანეთის ნაცნობი იყო, ერთმანეთის მეგობარი.

კიდევ მოვკარი ყური მუშათა ლაპარაკს: არჩილის საფლავი ჩვენი ძალის გამოსაცდელი უნდა იყოს, აქ უნდა გამოვიტანოთ, გამოვამზეუროთ ჩვენი ცხოვრების ყოველი წლის ნაყოფი, შედეგი. მართლაც არჩილი ცხოვრებაში ჩვენი სურვილების, ზრახვათა და ფიქრის შუაგული იყო. იმის გარშემო იკრებოდა ძალა ეროვნულ დემოკრატიისა და სიკვდილის შემდეგაც იმავ ცენტრად რჩება, იმავ დედაგულად, საცა ჩვენ უნდა შევამოწმოთ ჩვენი ძალა და სისუსტე, საცა უნდა გამოვარკვიოთ ჩვენ ავი და კარგი.

არჩილ ჯორჯაძის ანდერძი საიმედო ხალხის ხელში გადავიდა, არჩილის გლოვამ იმ ადამიანთა გულში დაიბუდა, რომელიც არ აღმოიფხვრიან სამარადისოდ თვის მასწავლებლის ნეტარ ხსოვნას და გადასცემენ, როგორც უუძვირფასეს განძს თვის შთამომავლობას.

შიში არაფრისაა: ხნულში კეთილი თესლი ჩავარდა და იგი ჯეჯილს მოგვცემს. მთიდან დაგორებული ზვავი თანდათან გაიზრდება.

**მიხაკო.**

# ვისია „იმერეთი"?

2.

ქუთათურმა გაზეთმა თავისი თავი რომ მშრომელი ხალხის ქომაგად და მეგობრად გამოაცხადა, ისიც დასძინა: „ჩვენ თანავუგრძნობთ მშრომელი ხალხის **სამართლიან** მოთხოვნილებათო" (ხაზი ჩვენია კ.) ამით განსაზღვრული ფარგალი შემოავლო თავის განწყობილებას მუშებთან, საზღვარი დაუდვა მუშათა მოთხოვნილებებს და ინტერესებს. ეს საჭირო იყო, რადგან თუ არსებობს მუშათა კლასი, არსებობს ბურჟუაზიული კლასიც, თუ ერთის საჭიროება და მოთხოვნილებაა საყურადღებო, მეორესიც პატივსაცემია, ერის ნაწილს ერთი შეადგენს, მეორეც აუცილებელი და განუშორებელი ნაწილია. თუ ბურჟუები და მუშები ერთმანეთს ებრძვიან ხშირად, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მათ საერთო არა ჰქონდეთ რა და არ შეეძლოთ შეთანხმება და მორიგება. „იმერეთმა" თავიდანვე გამოაცხადა: „ჩვენ უარვყოფთ იმ შეხედულებას, ვითომ სხვადასხვა კლასს შორის არაფერია საერთო, ქარხნის მუშა და გლეხი, ვაჭარი და მემამულე მხოლოდ მტრები არიან ერთმანეთის და მათ შორის მარტო ულმობელ, ბრძოლა უნდა სუფევდეს"—(№ 1). გაზეთის მეხუთე ნომერში ვკითხულობთ: „გვეტყვიან, თქვენ ხომ ქართველი ბურჟუაზიის დამცველები და, მაშასადამე, მუშათა მოპირდაპირენი ხართო. მაგრამ არა! ჩვენ ორივე მხარის ინტერესებს ვიცავთ. ამაზე, ვიცით, გვიპასუხებენ: მუშათა კლასსა და ბურჟუაზიის შორის არაფერი არ არის საერთო, გაუვალი უფსკრულია გავლებული და მარტო ბრძოლაა შესაძლებელი და საჭირო. არ არის ეს მართალი. ბურჟუაზიასა და მუშებს ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგალ. წარმოების გაუმჯობესობა". შემდეგ მოწინააღმდეგეთა საპასუხოდ გაზეთი სწერს (11): „კლდე" და „იმერეთი" კერძოდ ბურჟუაზიის ინტერესების დამცველნი კი არ არიან, არამედ ისინი არიან ფხიზელი და შეგნებული დამცველი სრულიად ქართველი ერის ჭეშმარიტი ინტერესებისა და, რადგან ქართველი ერი შესდგება სხვადასხვა კლასისაგან და წოდებისაგან, რომელთაც **ბევრი და მეტად ბევრი** საერთო აქვთ... ამიტომ „კლდე" და „იმერეთი" ერთგულად ემსახურებიან **ქართველი ერის დიდ უმეტესობას...** ისტორიის ჩარხი მარტო კლასთა ბრძოლით არ ტრიალებს. მსოფლიო ისტორიას კიდევ უფრო მეტის ინტერესით ამოძრავებს ეროვნული ბრძოლა, სადაც ხშირად ერთდებიან უკიდურესი კლასები საერთო ინტერესების დასაცავად". ინტერესების ერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ პირობებში; ასეთ მდგომარეობაშია დღეს საქართველო, ამიტომ „ქართველი მუშის და ბურჟუას, გლეხის და აზნაურის **მთავარი ინტერესები უნდა იყოს ერთი**". ამავე ნომრის ფელეტონში გაზეთის მეთაური აღიარებს, რომ დღეს საქართველო „უუფლებო ქვეყანაა, ქართველი ბურჟუა ღარიბი და უძლური, ამისათვის მას ესაჭიროება ჩვენი დახმარებაო. „როდესაც ქვეყანა მოკლებულია პოლიტიკურ უფლებათ და განუვითარებელია ვაჭრობა და მრეწველობა, კლასთა შორის ბრძოლის უკიდურესი გამწვავება ჰავნებელია".

გაზეთი ამტკიცებს, ბურჟუაზიას თუ ვიცავ იმიტომ კი არა, რომ თავისთავად ბურჟუაზიის ბედი მაინტერესებდესო, არამედ იმიტომ, „რომ ბურჟუაზიის გაღონიერება ერთის მხრით თვით ქართველი მუშების კეთილდღეობის გაუმჯობესობას მოასწავებსო" (8). ქართველი ბურჟუაზიის განვითარება საერთო ინტერესია, ამიტომ „ქართველმა მუშამ საზღვარი უნდა დაუდვას თავის მოთხოვნას, თუ არ უნდა, რომ საქართველოში მრეწველობა დაქვეითდეს და მისი ალაგი სხვამ დაიჭიროს" (№ 5). მეორეს მხრით, ქართველი მემამულე თ.-აზნაურობა გაღატაკებულია და „ამ გაჭირვებულ მემამულეთ რომ გლეხებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ, ცხადია მათი მამულები მთლად ჩვენი მეზობლების ხელში ჩავარდება და ბევრი უკვე კიდევაც გადავიდა".

ამნაირად „იმერეთმა" ერთნაირ რგოლში მოამწყვდია მუშები და გლეხები. ერთის მხრით ეუბნება მათ: მხნედ და მარჯვედ იყავით: ერის დედა ბოძი თქვენა ხართ; თქვენს განვითარებაზეა დამოკიდებული მთელი ერის კეთილდღეობა; მეორე მხრით კი აფრთხილებს: მრეწველებს და მემამულეებს ნუ გაამწარებთ, ცოტას შეეღავეთ, საბრალონი არიანო. ამავე დროს გაზეთი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბურჟუა მწარმოებელი არც ისე წინააღმდეგია მუშის მდგომარეობის გაუმჯობესობისა. „შეგნებული ბურჟუაზია პროგრესიულია, დემოკრატიულია. ის მომხრეა განათლებისა, სამუშაო დღის შემცირებისა და საზოგადოდ ყოფაცხოვრების გაუმჯობესობისა საკანონმდებლო გზითაც და კერძო ინიციატივის საშუალებითაც" (9). „მუშათა განათლება, შრომის შემსუბუქება და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობა სასარგებლოა წარმოების განვითარებისათვის, მაშასადამე ბურჟუაზიისათვის". ამიტომ „ბევრია შეგნებული კაპიტალისტი, რომელიც თავისი ნებითა და ინიციატივით ამოკლებს სამუშაო დღეს, აძლიერებს მუშის ქირას და სხ." „მუშათა განათლება, შრომის შემსუბუქება და საზოგადოდ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობა სასარგებლოა საწარმოვო ძალთა განვითარებისათვის და მაშასადამე უპირველესად ბურჟუაზიისთვის. ამიტომ პროგრესიული ბურჟუაზია დემოკრატიულია და აღიარებს იმ მინიმუმ-პროგრამას, რომელსაც აღიარებენ სოციალისტებიც" (№ 5).

როგორც ვხედავთ, „იმერეთი" გვიმტკიცებს, რომ მწარმოებელთა შორის არც ისეთი წინააღმდეგობა ყოფილა. პირიქით მათი ინტერესები ერთგვარს ჰარმონიას წარმოადგენენ და ადვილად შესათანხმებელნი არიან. მუშის ქირის მომატება, სამუშაო დღის შემცირება, მუშების განათლება და სხ., რისთვისაც მუშები ისე გამწარებით იბრძვიან, მარტო მუშებისთვის კი არაა სახეირო, არამედ ბურჟუებისთვისაც, რომლებიც ხშირად „სოციალისტობენ" კიდეც. კერძოდ **ქართველი** მუშების მდგომარეობა საუკეთესო პირობებშია: ისინი სხვებზე უფრო განვითარებულნი არიან მთელს კავკასიაში, ამიტომ ყველაზე უდრო სასურველნი ეგენი უნდა იყვნენ მწარმოებლებისათვის. ასე ფიქრობს, მართალია, გაზეთი „იმერეთი", ასე თამამად ლაპარაკობს, მაგრამ ვერც იმდენად გადაულახავს სინამდვილე, რომ არ დაინახოს აშკარა ფაქტები, სახელდობრ ის, რომ ყველაზე უფრო გამწვავებული ბრძოლა მწარმოებლებთან სწორედ ქართველ მუშებს აქვთ. ამის არ დანახვა არ შეუძლია გაზეთს და ისევ და ისევ ურჩევს მუშებს ზომიერებას, კაპიტალისტებს კი ეუბნება: „წავიდა ის დრო, როდესაც შეიძლებოდა მუშის პირადი ღირსების გათელვა, დაჩაგვრა და უსაზღვრო ექსპლოატაციაო" (№ 5); გაზეთს თავის მოვალეობად მიაჩნია, თვალი აუხილოს და შეაგნებინოს ბურჟუაზიას „მუშის განვითარების მნიშვნელობა წარმოებისათვის, მაშასადამე კაპიტალისტის ჯიბისათვის" (13).

ხოლო თუ არ გასჭრა ასეთმა რჩევამ და ქადაგებამ? მუშათა დ კაპიტალისტების დამცველს გაზეთს მაინც დიდი იმედი არა აქვს თავის მისიის და თადარიგისათვის ამბობს: თუ მუშები არ დაგვიჯერებენ და ძველის გზით განაგრძობენ სიარულს, ჩვენ მათთან მაინც მეგობრული განწყობილება გვექნება, რადგან მათი სარგებლობა გვალაპარაკებს და არა მდგომარების ინტერესები, ჩვენ არასოდეს არ მივმართავთ აგრესიული პოლიტიკას მუშების წინააღმდეგო (№ 5).

მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ აგრესიული იქნება გაზეთის პოლიტიკა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლის ინტერესებსაც იცავს იგი? მაშინ ვისიღა იქნება „იმერეთი"? ამის თქმა ისევე ძნელია, როგორც იმის გადაწყვეტა: თუ ვისია დღეს „იმერეთი"?..

**კ.**

## ?

ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ერთი ახირებული დოკუმენტი. ეს დოკუმენტია რუსულად დაბეჭდილი პროგრამა გორის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა საღამოსი, რომელიც უნდა გამართულიყო გუშინ 24 მარტს. პროგრამა ხელმოწერილია „ინსპექტორ ნ. შიუკოვ"-ის მიერ. პროგრამის შინაარს შეადგენს საბავშო ოპერა ბენევსკისა „კრასნი ცვეტოჩეკ", რომელშიაც როლებს ასრულებენ შაგირდები: შატბეროვ, ნასკიდოვ, მონდიევ, ცვენიევ და სხ.

როგორც გავიგეთ, გორის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფენი რამდენიმე თვის განმავლობაში ეჩვადებოდნენ ამ ოპერის წარმოსადგენად „ცვენიევის" და „შატბეროვის" სახელებით. როგორ შიახწევს მიზანს და როგორ ითამაშეს ოპერა, ჯერ არ ვიცით. არ ვიცით თუ რა სახელი მოიხვეჭა გორის სამოქალაქო სასწავლებელმა ხელოვნებათა სფეროში, მაგრამ ის კი ვიცით, რომ მას საპატიო ადგილი ექნება დათმობილი სხვა სფეროში.

**ქ.**

# მუშათა ცხოვრება.

**ვაგონების დამტვირთავ მუშების გაფიცვა ტფილისის რკინის გზის სადგურზე.**

ტფილისის რკინის გზის სადგურზე ვაგონების დასატვირთავად შესდგა არტელი „ზაკავკაზსკაია ტრუდოვაია არტელი", რომელიც მიმდინარე წლამდე განაგრძობდა მუშაობას. პირველად არტელში ვერ იყო საქმე მოწესრიგებული, მუშები ცუდ მდგომარეობას განიცდიდნენ, რადგან რკინის გზის სამმართველოდან ნაკლებ ხელფასს იღებდნენ. შემდეგ საქმე თანდათან მოწესრიგდა. არტელი მკვიდრ ნიადაგზე დადგა და მუშებმაც სული მოითქვეს. ამას თანავე ისინი თვითვე სცდილობდნენ შინაური წესრიგის დამყარებას: განდევნეს ქურდები, ფლიდები და გაიძვერები და დანარჩენნი შეკავშირდნენ.

წელს იანვარში არტელსა დ რკინის გზის სამმართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და თვეში სამმართველომ განიზრახა „საქმის ოჯახური წესით წაყვანა". ექვს მარტს ადგილობრივ სადგურის უფროსმა **ბ-ნმა ბიკერმამ** შეაგროვა არტელში მომუშავე მუშები და გამოუცხადა, სადგური სოლახო წესზე უნდა გადავიდეს და არტელის რომელ მუშასაც ჰსურს ჩვეხთან მუშაობის განგრძობა რკინის გზის რწმუნებულს ბ. ნ ბეზდეტკინს უნდა მიუტანოს პასპორტები და ის ჩაჰნიშნავს სამუშაოზეო. ჯამაგირები კი ოცდაათი მანეთი გექნებათო. ხალხმა არ იცოდა თუ რა პირობებში მოუხდებოდათ მუშაობა, ამიტომ თითქმის ყველანი დასთანხმდნენ და 260 კაცმა დაიწყო მუშაობა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ შეიტყეს, რომ პირობები აუტანელი იყო; დღეში 12—13 საათი უხდებოდათ მუშაობა. ყველა დაკარგულ ბარგისთვის პასუხი უნდა ეგოთ, ხშირად ცემა-ტყეპა იყო და სხვა. ამის გამო მუშებმა შეიმუშავეს და 20 მარტს წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი.

1. სამუშაოზე მიიღონ არტელის ყველა ძველი წევრები.

2. მუშების დათხოვნა ევალებოდეს მუშათაგან შემდგარ კომისიას, რომელსაც ორივე მხარე აირჩევს.

3. თანახმად სამინისტროს დადგენილებისა, 9 საათის სამუშაო დღე; მხოლოდ კვირა უქმე დღეებში მუშაობა თავდებოდეს ნაშუადღევის პირველ საათზე.

4. ავადმყოფობის დროს უფასო წამლობა და თვიურ ჯამაგირის ნახევარი.

5. წელიწადში სამი თვით განთავისუფლება უჯამაგიროდ.

6. რკინის გზის ორი უფასო ბილეთი წელიწადში სახელმწიფო რკინის გზებზე.

7. ზრდილობიანი მოპყრობა ორივე მხრიდან.

8. დაკარგულ ბარგზე მუშები პასუხს არ აგებენ.

9. სახლში მიმავალ მუშებს ეძლეოდეს ხვედრი ჯამაგირი მეორე დღესვე განცხადების შემდეგ.

ეს მოთხოვნილებანი 20 მარტს წარედგინა მთავრობას სადგურის უფროსის ხელით; ვადა დანიშნული იყო 23 მარტს ნაშუადღევამდე. 23 მარტს სადგურის უფროსმა შეკრიბა ყველა მუშა და შეეკითხა, მართლა თხოულობთ ამას და ყველანი თუ არაო. ხალხმა ერთხმად უპასუხა, ყველანი უერთდებიან ამ მოთხოვნილებასაო. სადგურის უფროსმა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე გადაჭრილი უარი განაცხადა, არცერთ მუხლს არ აკმაყოფილებენო. თანაც განმარტა ცოტა დაიცადეთ და მდგომარეობას შეგიმსუბუქებთო. მუშებმა გადაჭრით უარი განუცხადეს და ორშაბათიდან (24 მარტიდან) მუშაობა შესწყვიტეს. გამოცხადდა მუშაობაზე მხოლოდ 10—12 შტრეიკბრეხერი, რომელთაც თავს გასამართლებლად სთქვეს, ჟანდარმების წყალობით ძალა დაგვატანეს და აღარ ვიმუშავებთო.

გარდა ამისა, გამოჩნდა ვინმე **მარკოზა ანანოვი**, რომლის წყალობითაც შეკრიბეს რამდენიმე სომეხი მუშა და ამუშავებენ. გაფიცვა გრძელდება.

✦ **გაფიცვა ლალიძის ქარხანაში** გამარჯვებით დამთავრდა. ქარხნის პატრონმა მუშების თითქმის ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილა და გაფიცულები მუშაობას შეუდგნენ.

✦ ჭიათურის მრეწველთა საბჭომ ქუთაისის გუბერნატორსა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს შემდეგი თხოვნით მიმართა:—ფოთში შავიქვის მრეწველთა მუშები ძალიან ცუდ სანიტარულ მდგომარეობაში არიან და გთხოვთ მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზომები მიიღოთო. 1909 წლის 24 მაისის კანონის მე-10 მუხლის ძალით ამ საქმეზე საფუთო გადასახადიდან შემოსული ფული უნდა იხარჯებოდეს; ფოთის ხავთსადგურის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობას დიდი მნიშვნელობა აქვს და გთხოვთ შესაფერისი განკარგულება გამოსცეთო.

✦ დაბა ოჩამჩირეში 17 მარტს გაიფიცნენ აბანოზის (კაკლის ხის) მწონავი მუშები. გაფიცვის მიზეზი შემდეგი იყო: ხაზეინმა სამსონ ნინუამ თათარ მუშებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მან მუშებს არამზადა უწოდა. ამის შემდეგ ქართველმა და თათარმა მუშებმა მოილაპარაკეს და გაფიცვა გამოაცხადეს. ნინუამ მათ მაგიერ თავისივე ხის მთლელი მუშები გამოიყვანა. ამგვარად ეს უკანასკნელი ხაზეინის ბრმა იარაღად გადიქცნენ და თავისივე მოძმეების წინააღმდეგ გამოვიდნენ.

**რუსეთში.**

**პეტერბურგი.** (დეპეშა). ნევის ძაფის სამრეწველო ქარხნებში, სადაც 3000 ქალი მუშაობს ოთხი გახდა ავად იმავე ნიშნებით, როგორც სხვა ქარხნებში. ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ დახურა ქარხანა და მუშები გაანთავისუფლა სამუშაოდან. ადმინისტრაციების მიერ დახურულ ქარხნებიდანდღეს მხოლოდ სიმენსისა დ გალსკეს ქარხანაში განახლდა მუშაობა.

საღამოთი კალინკინის ხიდსა და ნარვის კარებს შუა მუშების დიდი რიცხვი სცდილობდა გაემართა დემონსტრაცია რევოლუციონური სიმღერებით. პოლიციელებმა გაჰფანტეს ისინი. დაატუსაღეს ხუთი.

სასამართლო პალატამ სასოფლო-სამეურნეო კურსების მსმენელს ბელიაევს და მუშა რიბჩიკოვს ს.-რევოლუციონერთა პარტიის წევრობისთვის გადუწყვიტა უფლებათა ჩამორთმევა და საუდამო გადასახლება.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს „სევერ. რაბოჩ. გაზეტა"-ს № 37. რედაქტორი ანდრეევი სამართალში მისცეს.

**რიგა.** „პროვოდნიკის" ქარხანაში 3000 მუშა გაიფიცა. კალოშის განყოფილებაში გაფიცულია 4000, რიჰარდ-პოლის მანქანათა [illegible] ბლო ქარხანაში—300, [illegible] ქარხანაში—400 მუშა.

**უცხოეთში.**

**ლონდონი.** 21 (დეპეშა) იორკშირის მაღაროებში გაფიცვა ვრცელდება. გაფიცულია 170000 კაცი. ღლმოსავლეთის რკინის გზის მსახურნი იმუქრებიან, კვირის მუშაობას შევწყვეტთ, თუ გამგეობა უკანვე არ მიიღებს გზის ყარაულსაო. შაბათს მუშაობასა სტოვებენ ლონდონის საელექტრონო სადგურებზე მოსამსახურენი.

# მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

როგორც გამოირკვა წელსაც შედარებით ცოტა აბრეშუმის თესლი შემოუტანიათ უცხოეთიდან—ოსმალეთიდან. ამის მიზეზი ბალკანეთის ომი იყო და სხვა. სულ ბათომით შემოტანილია დღემდე 754 ათამდე კოლოფი თესლი მეტი ვიდრე შარშან 64 ათას კოლოფით. ზემოაღნიშნული რაოდენობა შემოტანილი თესლისა აღრიცხავს მარტის პირველ რიცხვებამდე შემოტანილ თესლს. რადგანაც თესლის შემოტან გრძელდება, ამიტომაც წარმოდგენილია, რომ თესლი, შარშანდელზე მეტი იქნება, თუმცა ამიერ-კავკასიიდან წელს უფრო მეტი თესლი გააქვთ სპარსეთსა და ბუხარაში ვიდრე შარშან გაიტანეს. სულ ამიერ კავკასიაში იყო შემოტანილი თესლი და ადგილობრივ დამზადებული 800,000 კოლოფამდე. ამ რიცხვიდან დაახლოვებით სპარსეთში დღემდე გატანილია 250 ათასამდე კოლოფი თესლი, ბუხარაში კი—200 ათასამდე. ასე რომ კავკასიაში დაახლოვებით დარჩა 280 ათას კოლოფამდე. თუმცა ბაზარზე კი სჩანს, რომ უფრო ნაკლები უნდა იყოს თესლი ვიდრე შარშან, რასაც ის გარემოება ამტკიცებს, რომ ფასები წელს უფრო დიდია ვიდრე შარშან ამ დროს იყო. ამ ჟამად დასავლეთ საქართველოში და ქართლ-კახეთში დარიგებულია ბაზარზე 100 ათას კოლოფამდე თესლი. მაგალითად დასავლეთ საქართველოში ფირმა ხრისტოდულისისა—19,00 კოლოფი, პასხალიდის—6,000, მნეულიდის—2,000, ცკანომიდის 8 ათასი და სხვა, სულ 70 ათასამდე. ქართლ-კახეთში კი 30,000 მდე თესლის ფასები 2 მ. 40 კ.-მდეა კოლოფი შემოწმებული საიმედო თესლისა. ფასები ყოველდღითი მატულობს და ამისთვის ვურჩევთ მეაბრეშუმეებს დღეიდანვე დაიჭირონ თადარიგი თესლის შესაძენად და ჩვეულებრივად ნუ უცდიან თესლის გაიაფებას. წელს პირიქით, როგორც ზევით იყო აღნიშნული, დღითი-დღე მატულობს თესლის ფასი. თებერვალში კოლოფი 1 მ. 50 კაპ. ფასობდა ეხლა კი 2 მ. 40 კაპ. ამასთანავე ძივაქცევთ მეაბრეშუმეთა ყურადღებას, რომ გვიან შეძენილი თესლი ნაკლები ხარისხის არის და მუდამ ცუდ მოსავალს იძლევა.

**ი. ქ—ძე.**

# ოლსტერის ამბების გარშემო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

**ლონდონი.** ლიდინბეკში ასკვიტმა ამომრჩევლებს სიტყვით მიმართა. მის სიტყვას აღფრთოვანებით შეეგებნენ.

**ლონდონი.** ჰაიდპარკში ულსტერელ უნიონისტთა მანიფესტაციას წვიმამ ძლიერ შეუშალა ხელი. პროცესიები, რომელნიც განსაკუთრებით შეძლებულთაგან შესდგებოდნენ, ჰაიდპარკში ოთხ საათზე შეიყარნენ მუსიკითა და ეროვნული დროშებით. პარლამენტის 70 წევრმა სიტყვით მიმართა ხალხს. ლაპარაკს მათ ლიბერალები აწყვეტინებდნენ. დიდის ხმის უმეტესობით გადასწყდა არ გაიგზავნოს ულსტერის წინააღმდეგ არც ჯარი, არც ფლოტი და ჰომრულის საკითხი გადასაწყვეტად გადაეცეს ხალხს. ამ გარდაწყვეტილებას ხალხი მხურვალე ტაშისცემით მიეგება. ლიბერალები უსტვენდნენ. მიტინგის დროს სუფრაჟისტებმა დიდი უწესოება მოახდინეს. მიუხედავად პოლიციის წინააღმდეგობისა, ისინი შეცვივდნენ ჰაიდპარკში და უნიონისტთა გვერდით კრება გამართეს. ულსტერის მომხრეთა და სუფრაჟისტთა შორის შეტაკება მოხდა. შეტაკება ერთს საათს გაგრძელდა. სუფრაჟისტები პოლიციამ გაჰფანტა. რამდენიმე დააპატიმრეს, მათ შორის მის დრუმონდიც.

**ლონდონი.** ასკვიტი კიუპორში მივიდა. ლონდონ ში მრავალმა პოლიტიკურმა მოღვაწემ წარმოსთქვა სიტყვა მხედრობაზე. რობერტსონი პრეზიდენტად აირჩიეს. კარსონმა განაცხადა, მთავრობამ ჰომრულიდან უნდა გამორიცხოს ულსტერი, თორემ სისხლის ღვრა მოხდებაო.

**ლონდონი.** ასკვიტმა ლიდინბეკში ამომრჩევლებს მიმართა და სხვათა შორის სთქვა: შინაური მშვიდობიანობის დაცვაში პასუხისმგებელნი მთავრობა და პოლიციააო. საგანგებოდ იშვიათ შემთხვევაში სჭირდება სამოქალაქო მთავრობას ჯარის დახმარება. მაგრამ ამ შემთხვევაში ყოველი ჯარის კაცისა და მოქალაქის მოვალეობაა შეასრულოს სამოქალაქო მთავრობის მოთხოვნილება. ეხლანდელი ქადაგება უნიონისტებისა ჯარის დისციპლინას არღვევს და დემოკრატიულ მთავრობას ძირს უთხრის; იგი ანარქიზმის მცნებაა. შემდეგ ასკვიტი ჰომრულის საკითხზე გადავიდა. ჩვენის აზრითაო, სთქვა ასკვიტმა, ერთობით მიღწეული შეთანხმება სრულებით შეუფერებოდა ქვეყნის საჭიროებას და ორივე დიდ პოლიტიკურ პარტიისა.

**ჟურნალ-გაზეთებიდან.**

**სერ გრეის. სიტყვა**

**ლონდონი.** დარწმუნებულნი არიან, რომ ორივე საპარლამენტო პარტიის შორის შეთანხმება მოხ-

დება. 19 მარტის კამათის დროს სერ ედუარდ გრეიმ კონსერვატორებს შემდეგი კომბინაცია შესთავაზა.

— ლიბერალურმა კაბინეთმა — სთქვა მინისტრმა — მტკიცედ გადასწყვიტა, რომ ჰომრული კანონთა კრებულში წელსვე იქნება შეტანილი. თუ ამას არ შევასრულებთ ჩვენ ვერ წავრსდგებით ამომრჩეველთა წინაშე. შეუძლებელია რაიმე მოლაპარაკება ოპოზიციასთან თუ იგი ჰომრულს პრინციპიალურად არ მიიღებს. და თუ ის აღიარებს ჰომრულს, მაშინ ოპოზიციის ლიდერებს თათბირზე ვიწვევთ წვრილმანების გამოსარკვევად. ჩემის პირადი რწმენით, შეთანხმება იმ გზით შეიძლება, თუ მთელ გაერთიანებულ სახელმწიფოში შემოღებული იქნება ადგილობრივი ავტონომიები ფედერატიულის წესით. როგორც გავიგე ორანჟისტების გულის ნადები—ულსტერი წინააღმდეგი არ იქნება ირლანდიის ჰომრულისა, თუ კი ასეთივე ჰომრულები შემოღებულ იქნება შოტლანდიასა და უელსშიაც.

შემდეგ იგი გადავიდა მწვავე საკითხზე ულსტერის წინააღმდეგ სამხედრო ძალების გამოყვანაზე და სთქვა:

— ირლანდიის პარლამენტი მომავალ წელს შეიკრიბება. მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ ორანჟისტებს იმის გადაწყვეტილებას წინააღმდეგობა გაუწიონ. ამიტომ ჯერ ნაადრევია ლაპარაკი ულსტერის წინააღმდეგ სამხედრო ძალების გამოყვანის თაობაზე. ჰომრულის გამოცხადების შემდეგ თუ ულსტერი დროებით მთავრობას ამოირჩევს, ამით ის ჩაიდენს აჯანყებას მეფისა და საიმპერიო კანცლერის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, აჯანყება შეიარაღებულის ძალით იქნება ჩაქრობილი. რაც შეეხება კონსერვატორების (ტორიები) ოცნებას, ვითომც ჯარეში მათ პარტიულ მიზანს გაუწევენ სამსახურს—ეს ტყუილი ოცნებაა, რადგანაც პირველისავე არჩევნებზე ხალხის გულის წყრომა რამდენიმე ათის წლით მოსპობს კონსერვატიულ პარტიას პოლიტიკურ ასპარეზიდან. ხალხი, გარდა ქვედა პალატისა, არავითარ სხვა მთავრობას არ შეიწყნარებს.

**ასკვიტის კაბინეთი.**

ინგლისის პრესა, როგორც მემარცხენე, ისე კონსერვატიულიც დიდის თანაგრძნობით შეეგება ასკვიტის გადაწყვეტილებას სამხედრო მინისტრის პორტფელის მიღების შესახებ. ყველას შეგნებული აქვს, რომ ჯარს ნდობით აღჭურვილი ბელადი სჭირდება.

ზოგიერთმა ლიბერალურმა გაზეთებმა ტორიების ორგანოების გაზეთებიდან ამოღებულ ცნობების მთელი რიგით დაამტკიცეს, რომ აგიტაცია ჰომრულის წინააღმდეგ ჯარში თითქმის ორის წლის განმავლობაში ეწეოდენ, და ოფიცრების გაფიცვას კონსერვატრები უმთავრეს იარაღად სთვლიდნენ.

გამოირკვა აგრეთვე, რომ რამდენიმე ფრიად წარჩინებული უმაღლეს წრის ლედი (ქალები) აფიცრებისათვის საუზმე-ვახშმებსა მართავდნენ, რომლის დროსაც, არწმუნებდნენ არ იწამონ ჰომრული. ამისათვის ისინი კონსერვატიული კაბინეთისაგან წარჩინებას ჰპირდებოდნენ.

გამოირკვა აგრეთვე, რომ კონსერვატორებში შეუგროვებიათ ერთი მილიონ მანეთამდე იმ აფიცერთათვის დასარიგებლად, რომელნიც დასჯილნი იქნებოდნენ ჰომრულის საკითხის გამო.

მედგარ მოქმედებამ ასკვიტსია, მის გვერდში მდგომ ლოიდ-ჯორჯისა და მუშათა პარტიისამ სულ ჩაშალა კონსერვატორებს იმედები და გეგმა. ეხლა კონსერვატორებმა უკან დაიხიეს.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

22—22 მარტი.

**უცხოეთი.**

**ათინა.** ათინას სააგენტო იუწყება, კორიცა ეპირელმა მეამბოხეებმა დაიპყრეს.

**ვენა.** პეტერბურგის გაზ. „გოლოს რუსი“-ს ავსტრიაში შეტანა აკრძალეს.

**ვენა.** „ალბანიში — კორესპონდენც“-ს დურაცოდან აუწყებენ: ეპირიდან მოსულმა ამბებმა დიდი მღელვარება გამოიწვია. მინისტრთა საბჭო მთელს დღეს თათბირობდა.

სლავიანთა ნოტარიუსებმა მინისტრ-პრეზიდენტსა და იუსტიციის მინისტრს საჩივრით მიჰმართეს, სასამართლოებში არამც თუ განდევნილია სლავიანთა ენა, სასამართლოს დარბაზში სლავიანურად დალაპარაკებაც კი იკრძალებაო.

**სტამბოლი.** ბითლისის ბრძოლაში 2000 ქურთზე მეტი იღებდა მონაწილეობას. ქურთებმა წაართვეს ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები. ჟანდარმებმა და ჯარისკაცებმა, რიცხვით 400 კაცმა, უკან დაიხიეს. როგორც ხმა დადის ქურთებმა სიმაღლეები დაიჭირეს და პარტიზანული მოქმედება დაიწყეს.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო განმეორებით უარჰყოფს, ვითომც ბულგარეთის რაზმები ბულგარეთ-სერბიის სამზღვარზე დათარეშობდნენ.

**დურაცო.** ხმა დადის, ბანკებთან დასადები ათ მილიონიან სესხის ხელშეკრულება უკვე შემუშავებულია და საკონტროლო კომისიის მხრივ არავითარი დაბრკოლება არ ელოდებაო.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატაში ბარტუ თავს მართლულობს—საჭირო იყო საქმის გაშუქება კალმეტის მოკვლის შემდეგო.

**სენ-ჟანი.** გემ „ნიუფაუნდლენდზე“ 189 კაცი იყო. დაიღუპა 77, იპოვეს 69 გვამი. ძლიერ ყინვისაგან 36 კაცი დამძრალა.

**ლონდონი.** ასკვიტის მოგზაურობას ისტფაიფში ზეიმის ხასიათი ჰქონდა. ნიუქესტლში ასკვიტმა განაცხადა: ჩვენ კრიტიკულ ხანაში ვცხოვრობთ. ხდება ძირითად პრინციპების გადათვალიერება. თუ პროგრესიული ელემენტები შეერთდებიან, თავიანთ საქმეს განამტკიცებენო.

**ბელგრადი.** პეტერბურგში რუმინიის მემკვიდრის ჩასვლის გამო „სამოუპრავა“ სწერს: ეს სტუმრობა დამატკიცებელია იმისი, რომ რუმინიამ მტკიცედ გარდასწყვიტა დაუმეგობრდეს რუსეთსა, რაიცა უზრუნველჰყოფს ბალკანეთის მშვიდობიანობასაო.

**ვენა.** როგორც ვალონიდან ხმება მოდის, სამხრეთ ალბანიაში მდგომარეობა ისევ სერიოზულია. იწრწმუნებიან, რომ ეპირელ რაზმებში ბევრი გადაცმული ბერძენი აფიცერი და ჯარის-კაციაო. უკანასკნელ ხანებში მეამბოხეებმა ჩრდილოეთისკენ წაიწიეს. გზა-გზა სოფლები გასძარცვეს.

**ვენა.** „კორესპონდენტ-ბიუროს“ ვალონიდან ატყობინებენ: ოფიციალურ ცნობებით 19 მარტს ბერძენთა ბრბოები შეიჭრნენ კორიცაში და 20 მარტს ამაოდ შეეცადნენ დაეტყვევებინათ ალბანელთა მთავრობა. ჟანდარმებმა ისინი გარეკეს. შეტაკების დროს ქუჩაში დაჰკრეს ჰოლანდიის მაიორი. გენერალმა დეფსერმა მაშველი ჯარი გამოგზავნა, რის შემდეგ მეამბოხეებმა უკან დაიხიეს და თეთრი ბაირაღი ააფრიალეს. ქალაქის მცხოვრებთ, რომელნიც ბერძნებს ეხმარებოდნენ, იარაღი აჰყარეს.

**ფელდესია.** ჯავტობეს მთამ ამოხეთქა. ნაცარ-ტუტამ დაჰფარა 16 დღიური მიწა.

**ფელდესია.** ნაცარ-ტუტის დენა შეჩერდა. მთის გულიდან ყრუ გუგუნი მოისმის.

**ქაირი.** ოფიციალურად გამოცხადებულია საიდ-ფაშის კაბინეთის გადადგომა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობას კისრულობს მუსტაფა ფაშა უპორტფელოდ.

**სტამბოლი.** ბითლისიდან ჯარმა გარეკა ქურთები. მეამბოხეთა მეთაურმა მოლა-სელიმმა ვერ მოასწრო გაქცევა და ამხანაგებით რუსეთის საელჩოს შეაფარა თავი. აჯანყების მთავარი ადგილი ჰასანია. სომეხთა პატრიარქმა გამოაცხადა მოლა-სელიმის წერილი, რომელშიაც იგი აცხადებს, ჩვენ ავჯანყდით მხოლოდ ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგ და სომხებს ხელს არ ვახლებთო.

**ბრესლავლი.** პოლიციამ დააპატიმრა 30 კაცისაგან შემდგარი რუს მძარცველთა ჯგუფი, რომელსაც მრავალი მკვლელობა და თავდაცემა ბრალდება. მძარცველებს აღმოაჩნდათ 110 კილოგრამი დინამიტი და 20,000 მანეთი ფულად.

**ვენა.** „კორესპონდენც. ბიუროს“ დურაცოდან ატყობინებენ: ალბანეთის ჟანდარმებს ბრძოლა უხდებათ არა მარტო ეპირელთა, არამედ ბერძენ ჯარისკაცთაგან შემდგარი რაზმებთან. შეუჩერებლივ მოდის დამხმარე რაზმები ბერძნებისაგან. ამით გათამამებული აჯანყებულნი უფრო მედგრად იბრძვიან. ალბანელთა ჟანდარმები უკანასკნელ ძალას იკრებენ მათთან საბრძოლველად.

**ათინა.** გარდაიცვალა ფინანსთა მინისტრად ნამყოფი კარაპანოსი.

**რუსეთი.**

**სევასტოპოლი.** ბალაკვიდან მომავალ ავტომობილის მატორი აფეთქდა. მძიმედ დაშავდა სამი მგზავრი.

**პეტერბურგი.** სირომიატნიკოვის კონფეტის ქარხანას ღამე ცეცხლი გაუჩნდა. გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელთა ყველა რაზმები. ცეცხლი მხოლოდ დილისით ჩააქრეს. ქარხანა ერთიანად გადაიწვა. მუშათა სადგომიდან ცეცხლის მქრობელებმა 80 მუშაზე მეტი გადაარჩინეს. ერთი ქალი ფანჯრიდან გადმოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა. უკვალოდ დაიკარგა ერთი მოხუცი და ბავშვი. ზარალი ნახევარ მილიონია.

**კიევი.** სამოსამართლო პალატამ უყურადღებოდ დასტოვა; მარგოლინის საქმე, რომელიც საოლქო სასამართლომ ნაფიც ვექილთა წოდებიდან გამორიცხა ბეილისის საქმის გამო.

**მოსკოვი.** პროფესორ ოგნევის გამოსათხოვარ ლექციის შემდეგ, სტუდენტები დემონსტრაციის მოხდენა ეცადნენ. დემონსტრატები პოლიციამ გაჰფანტა. ერთმა სტუდენტმა შემოჰკრა ბოქაულის თანაშემწეს. დარაჯის ცემისათვის ორ სტუდენტს სამ-სამი თვე გადაუწყვიტეს.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა მინისტრთა საბჭოში პროექტი შეიტანა, რომლითაც ორი მილიონი მანეთი უნდა მიეცეს ერობებსა და ქალაქებს 1914 წ. ხოლერასთან და ტავჰირთან საბრძოლველად.

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების კომისიამ განიხილა პროექტი უნივერსიტეტის და დემიდოვის ლიცეის პროფესორთა და ვარშავის უნივერსიტეტის დოცენტთა ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მიიღეს წინადადება, დაკლებულ იქმნას უნივერსიტეტში სწავლის ფული 50 მანეთით. ორდინარულ პროფესორთა ჯილდოდ იქმნება აღიარებული 4,500 მან. წელიწადში 850 მან. ორჯელ მომატებით და სამოს, ცლო-დამხმარე დაწესებულებების გამგეობისათვის 600—1,200 მან. ექსტრა-ორდინ. პროფესორებს— 3,000 მან., 500 მან. ორჯელ მომატებით. ამ პროექტით იმ პრივატ-დოცენტებს, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი არა აქვთ, არ შეუძლიანთ დარჩნენ ამ თანამდებობაზე ხუთ წელიწადზე მეტი.

საშუალო სკოლების რეფორმის შესახებ თათბირმა დაადგინა, რომ დირექტორის და საშუალო სასწავლებლების სხვა მასწავლებელთა თანამდებობაზე კანდიდატები უნდა დაასახელონ ხოლმე სამზრუნველო საბჭოებმა, ხოლო დაამტკიცებს სამოსწავლო ოლქის მზრუნველიო.

ბეჭდვითი საქმის კომისიამ დაასრულა პროექტის განხილვა და სასურველად სცნო პროგრესისტების წინადადება სახელმწ. საბჭოსა და სათათბიროს საერთო კომისიებისა და კრებების ანგარიშების ბეჭდვის წესების შესახებ პერიოდულ გამოცემებში. კომისიამ უარჰყო პურიშკევიჩის წინადადება მისცემოდა მთავრობას განსაკუთრებული უფლება საკომერციო განცხადებების განაწილებისა ჟურნალ გაზეთებ შორის.

**პეტერბურგი.** განათლების მინისტრმა სახ. სათათბიროში კანონპროექტი შეიტანა. რომლითაც 1861 წ. 19 თებერვლის აღსანიშნავად სამარაში უნდა დაარსდეს ქალთა უმაღლესი საპედაგოგიო ინსტიტუტი, საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების მოსამზადებლად.

**ახალქალაქი.** დილით მიწის ძვრა განმეორდა.

**ეკატერინოდარი.** აკურთხეს ტაძარი, რომელსაც 12 წელიწადს აშენებ დნენ, იტევს 4000 კაცს და 300,000 მან. დაჯდა.

**ოდესა.** ოდესის ქალთა სამედიცინო კურსებს უმაღლეს სასწავლებლის უფლება მიენიჭა.

**მოსკოვი.** მოსკოვის უნივერსიტეტთან დაარსდა ფსიხოლოგიური ინსტიტუტი შჩუკინის სახელობაზე, რომელმაც ამ მიზნისათვის 100,000 მან. შესწირა.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს ქართული დრამატიული საზოგადოების დასი წარმოადგენს ზუდერმანის ცნობილ პიესას „მშობლიურ ქერქვეშ“-ს, რომელშიაც მთავარ როლს (მაგდა) შეასრულებს ნ. ჩხეიძე. დანარჩენი როლები განაწილებულია დასის საუკეთესო ძალებში.

დღეს 25 მარტს სახალხო სახლში გაიმართება მეორედ **დიდი სახალხო კონცერტი** თფ. ქართველ მუშათა მომღ.-მგალ. გუნდისა, **მ. კავსაძის** ლოტბარობით. კონცერტის წინ ბ. ი. კარგარეთელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: უმთავრესი მომენტები მუსიკის განვითარებისა კერპთთაყვანისმცემლობის დროიდან.

**სახალხო სახლი.** შაბათს, 22 მარტს, სახალხო სახლის მორიგ წარმოდგენას საზეიმო ხასიათი ჰქონდა. მონაწილეობას იღებდა ორი დამსახურებული მსახიობი ქართული სცენისა—ბ. ბ. კოტე ყიფიანი და ვასო აბაშიძე, მსახიობი ქ-ნი ოლ. ლეჟავა და საუკეთესო ძალა სცენის მოყვარეთა. წარმოადგინეს ასიკო ცაგარლის ნიჭიერად დაწერილი „ციმბირელი“. მართალია, პიესა იგი მელოდრამატიულია, მაგარი დიდი ღირსებაცა აქვს, მასთან სწორედ სახალხო სცენისათვისაა დაწერილი: თემა მარტივი და საამდროვო, ენა ცოცხალი, დიალოგი მოსწრებული.

რეჟისორის წუწუნავას რუსეთში გამგზავრებისა გამო პიესა დასდგა მის მოვალეობის დროებით აღმასრულებელმა ილიკო ზურაბიშვილმა და, უნდა ითქვას, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლაც ვიხილეთ დამახასიათებელი თვისება წუწუნავას მიერ გამართულს წარმოდგენებისა: ბუნებრივობა და ანსაბლი.

რაც შეეხება მონაწილეებს, ორიოდის გამონაკლისით, ქების მეტი არა ითქმის რა.

რასაკვირველია, ვასო აბაშიძე (მაზუთიანი) თავისი კლასიკური თამაშითა და კოტე ყიფიანი (ციმბირელი), რომელმაც მეორე მოქმედებაში ააქვითინა საზოგადოება, ექვს გარეშე არიან. აღტაცებას იწვევდა აგრეთვე ქ-ნ ოლ. ლეჟავა მოახლე მაშიკოს როლში. ავღნიშნავთ, ეს როლი ლეჟავას რეპერტუარში საუკეთესოდ მიგვაჩნია.

რაც შეეხება სცენის მოყვარეთ, მხარს უმშვენებდნენ დამსახურებულ მსახიობთ: ბ-ნ ილიკო ზურაბიშვილმა სავსებით განასახიერა ლოთიშფოთი, მაგრამ კეთილშობილი და ალალი პეტუა; გრიმიც შესაფერი ჰქონდა. აგრეთვე მოგვეწონა ბ.ბ. ანაშვილი და მელრეველი. უკანასკნელის თამაში ბუნებრივი იყო, რითაც ყურადღებას იპყრობდა. კარგი იყო ქ-ნი რომანიშვილისა. ქ-ნ ციმაკურიძისაგან და ბ. რომანიშვილისაგან მეტს მოველოდით.

ერთი შენიშვნა რეჟისორს: შეუძლებელია ციმბირიდან მომავალს ფეხით ციმბირელს სუფთა ფარაჯა და ფეხსაცმელი სცმოდეს. **№2.**

**სახალხო სახლი.** დღეს 25 მარტს, საბერძნეთის განთავისუფლების აღსანიშნავად ბერძენთა სექცია ჰმართავს წარმოდგენას. დასდგამენ ისტორიულ ს. პერექსიადის 4 მოქ., დრამას „ობრონოს ტუ ზულონგუ“, ეროვნულის ცეკვა-თამაშით. პიესის შინაარსი ეპერელთა ცხოვრებიდანაა აღებული.

**ახალი კლუბი.** მესამე სამუსიკო დილა ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლისა დანიშნულია დღეს, 25 მარტისთვის ახალი კლუბის დარბაზში. შესვლის ფასი 20 კ. დასაწყისი შუადღის $12^{1}/_{2}$ საათზე.

**ნაძალადევის თეატრი.** დღეს, სამშაბათს, 25 მარტს, ქ. ჩიქოვანისა და ბ. სვიმონიძის მონაწილეობით პირველად ნაძალადევის სცენაზე ... ლად წარმოდგენილი იქნება ლ. ანდრეევის ცნობილი პიესა: „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

## ჩვენი ფოსტა

**გორელ და გუდაუთელ** მეგობრებს. გმადლობთ ამხანაგურ რჩევისათვის. სერიოზულ ყურადღებას მივაქცევთ ყოველს თქვენს წინადადებას და ვეცდებით შეძლების დაგვარად შევასრულოთ.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**


**მსოფლიოდ განთქმული**

**კრემი კაზიმისა**

**მეტამორფოზა,**

**ერთად-ერთი მთელი ქვეყნის ქალების მიერ მოწონებული.**

უტყუარად არსებითად აქრობს ძიძიბებს, მზის ნამწვს, პირის ლაქას, კორფლს, სახის ნაოჭებს და პირისხახის სხვა ნაკლულევანებას.



1123 Метцль.

**ექიმ ნავასარდიანის**

**პირველი კერძო სამკურნალო**

(დაარსებულია 1880 წელს)

გოლოვინის პროსპექტის ძველი პოლიციის ... ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. უფასო მკურნალობა კონსულტაციურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბექნაზაროვი: 1—2 ს. ... შინაგანი ავადმყ.

ზ. ი. ბ...: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა ... ბავშვებისა.

ვ. ე. შენგელია: 10—11 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. გ. ბეკნაზარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. კარამეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფი და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ... 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმყ.

**საღამოთი:**

მ. ნ. ბეკნაზარიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მოლაპარაკებით.

სამკურნალოს დირექტორი ... დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

1071

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა**

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

**ფეხსაცმელების მაღაზია**

**თომა დ.**

**ჯანყარაშვილისა**

მუხრანის ქ. № 2.



მიღებულია სააღდგომოდ დიდძალი ფეხსაცმელები ამხ. პეტერბურგის მექანიკური და ვარშავის **ქალებისა, ვაჟებისა და ბავშვების.**

**ფასები საქარხნოა.** აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები. 172.

**იყიდება**

**2 თვლიანი, რეზინის სადლიანი გრიჩკა**

თითო 130 მანეთად, პატენტიანი რეზინის ღერძი 200 მან. ფინლიანდიისა და პეტერბურგის ნაწარმოები. მიხეილის პროსპ. № 117, სახლი რეიერისა. ნახვა შეიძლება დილით 8-დან $9^{1}/_{2}$ საათამდე, საღამოთი— 4-დან $7^{1}/_{2}$ საათამდე. 208

**ბათუმში**

**ვექილი**

**მიხეილ ნასიძე**

სცხოვრობს კარანტინის ქუჩაზედ, სახლი № 105.

მიიღებს სასამართლო საქმეების გამო ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე. 176

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეგველოვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**

ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.

**იყიდება**

**იმავე ხარისხის საქონელი,**

როგორც პუშკინის ქუჩაზე.

1081

**მაღაზია**

**„ექსელანს“-ი**

**სავ. სახ. ქ. ე. და ქ. დ. აკოფჯანოვებისა და ამხ.**

ტფილისი, გოლოვინის პრ. № 13., სახლი მანთაშევისა, საზოგადოების საკრებულოს ქვეშ. ტელეფონი № 696.

რადგანაც მივიღეთ დიდ-ძალი შეკერილი რჩეული ტანისამოსი **კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის**

**აღდგომის მოახლოვებისა გამო დავნიშნეთ**

**უდიდესი იაფი ვაჭრობა**

მეტის-მეტად იაფად. გარდა ამისა მიღებული გვაქვს

**დიდ-ძალი რჩეული საქონელი,**

რუსეთული და საზღვარ-გარეთული საქონელი, ყოველ-გვარ შეკვეთისათვის, რომელიც გამოცდილ გამომჭრელისა მეთვალყურეობით სრულდება.

საშური შეკვეთას 24 საათის განმავლობაში ვასრულებთ. საქონლისა სიაფეში და აურაცხველ რჩეულ საქონლის ღირსებაში გთხოვთ თვითონ დარწმუნდეთ.

**ფასები შეუვაჭრებლად.**

1180